საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება № 905

თბილისი „12“ 07 2019 წ.

ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის ძეგლის ან კაცობრიობის არამატერიალური მემკვიდრეობის რეპრეზენტაციულ სიაში შეტანილი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის საფუძველზე სახელმძღვანელოს/სერიის შემუშავების მიზნით შექმნილი სპეციალიზებული კომისიის მიერ შემუშავებული, იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდით შედგენილი I კლასის სასკოლო სახელმძღვანელოს (მოსწავლის წიგნი) -„დედაენის“ მაკეტისათვის გრიფის მინიჭების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N468 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს დებულების“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ჰ[11]“ ქვეპუნქტისა და მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ლ“ ქვეპუნქტების, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული წესის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 10 ივლისის №10/2733 წერილის, „ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის ძეგლის ან კაცობრიობის არამატერიალური მემკვიდრეობის რეპრეზენტაციულ სიაში შეტანილი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის საფუძველზე სახელმძღვანელოს/სერიის შემუშავების მიზნით სპეციალიზებული კომისიის შექმნისა და ამ კომისიის მუშაობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 22 მაისის №646 ბრძანების პირველი პუნქტით შექმნილი კომისიის გადაწყვეტილებებისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2019 წლის 11 ივლისის №935606 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიენიჭოს გრიფი ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის ძეგლის ან კაცობრიობის არამატერიალური მემკვიდრეობის რეპრეზენტაციულ სიაში შეტანილი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის საფუძველზე სახელმძღვანელოს/სერიის შემუშავების მიზნით შექმნილი სპეციალიზებული კომისიის მიერ შემუშავებულ, იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდით შედგენილი I კლასის სასკოლო სახელმძღვანელოს (მოსწავლის წიგნი) - „დედაენის“ მაკეტს.
2. დაევალოს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად გამოქვეყნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6).

მიხეილ ბატიაშვილი